პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 269 (11680)

შაბათი, 19 ნოემბერი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს



ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ! სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ წარმატებით ვასრულებ ჩემს ვალდებულებას — მივიღო 6 ათას კვერცხმდებელ ქათამზე 1 მილიონ 50 ათასი ცალი კვერცხი, რაც ვიკისრე სახელმოხვეჭილ უკრაინელ მეფრინველე ვერა სიდორასთან სოციალისტური შეჯიბრებით. თვენახევარში უკვე მივიღე 880 ათასი ცალი კვერცხი.

ამას წინათ საბჭოთა მეურნეობაში გამართულ საერთო მიტინგზე, სადაც გავითვალისწინეთ ახალი ვალდებულებანი შვიდწლედის მესამე წლისათვის, მე ვიკისრე მოვუარო 12 ათას კვერცხმდებელ ქათამს და მივიღო 2 მილიონი ცალი კვერცხი. თითო მილიონი ცალი კვერცხის მიღება იკისრეს მომავალი წლიდან ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მეფრინველეებმა ეთერ კეჟერაშვილმა, მარიამ გოლოლობოვამ, ციალა ხმალაძემ, მარიამ გალუსტიანმა.

გითვლით, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, პირადად ჩემი და ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშაკის სახელით საუკეთესო სურვილებს თქვენს დიდ ყოველდღიურ მუშაობაში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

**ქეთო კორკოტაშვილი,**
საქართველოს სსრ სამგორის სანაშენე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მეფრინველე.

## მშენებლებო, — ტემპი!




რუსთავში შენდება ქიმიური მრეწველობის ორი მძლავრი ობიექტი — კაპროლაქტამის წარმოება და სინთეზური ბოჭკოს ქარხანა. თუ აქამდე რუსთავი მეტალურგიულ ქალაქად არის ცნობილი, უახლოეს მომავალში იგი ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ცენტრადაც გადაიქცევა.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ხელისშემშლელი მიზეზები და მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართოს, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ამ მშენებლობებზე შექმნა სპეციალური საკორესპონდენტო პუნქტი. რედაქციას გადაწყვეტილი აქვს ამ ორი დიდი მშენებლობისა და აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოების შესახებ ოპერატიულად გამოაქვეყნოს მასალები მშენებლობების მიმდინარეობის შესახებ.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ საკორესპონდენტო პუნქტის პირველ წერილს.

**აქამდე** ამ ორი მძლავრი ობიექტისა და აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოების საქმეს მხოლოდ ერთი სამმართველო ეწეოდა. ერთი თვეა, რაც ეს სამმართველო გაიყო და სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობას აწარმოებს ახალი, ეგრეთწოდებული სინთეზმშენის სამმართველო. ამჟამად მთელი ყურადღება მიპყრობილია იქეთკენ, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში იქნას დამთავრებული კაპროლაქტამის წარმოება და აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოების სამუშაოები.

მშენებლობის გეგმები არ სრულდება მთელი რიგი მიზეზების გამო. იმისათვის რომ აზოტოვანი სასუქების ქარხანამ გაზარდოს ამიაკის წარმოება, საჭიროა დამონტაჟდეს ჰაერგამყოფი აგრეგატი. აგრეგატის დამონტაჟება ფერხდება იმის გამო, რომ დამკვეთი ვერ აწვდის მშენებლებს მონტაჟისათვის აუცილებელ ნაწილებს. აგრეგატის ნაწილები მშენებლებისათვის უნდა მიეცათ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, იგი მიღებულ იქნა მხოლოდ მესამე კვარტალის ბოლოს და ისიც არასრულად. აგრეგატის დამონტაჟებას დიდად აფერხებს სპილენძის არმატურის, მილების, მარეგულირებელი სარქველების, ოთხქლორიანი ნახშირბადის და სხვათა უქონლობა.

მშენებლებს ხელი ეშლებათ ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების უქონლობით, ზოგჯერ ავტომანქანების ცუდი მომსახურებით, აკლიათ მუშახელი. ოქტომბერში მშენებლებმა სრულად ვერ მიიღეს საჭირო რაოდენობის ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, დიდი რაოდენობით აკლიათ დურგლები და კალატოზები. დიდი მოცდენები აქვთ ხსნარის დაგვიანებით მიღების გამოც.

**გ. გოგინაშვილი,**
ქიმმრეწვის სამმართველოს უბნის უფროსი.

**გ. დემეტრაშვილი,**
კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

**გ. შავიშვილი,**
სამრეწველო-ტექნიკური განყოფილების გამგე.

### რედაქციისაგან:

რედაქცია დაუკავშირდა იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც დაკავშირებული არიან რუსთავში ქიმიური მრეწველობის ობიექტების მშენებლობასთან. აი რას გვატყობინებენ ისინი:

**ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველის მოადგილე პ. პეტრიაშვილი:** ქიმიური მრეწველობის ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენ ახლა საექსპლოატაციოდ ვამზადებთ ერთ საერთო საცხოვრებელს, რომელშიც 200 კაცი იცხოვრებს. თუ ამდენი რაოდენობის ახალ მუშახელს მივიღებთ, იგი მთლიანად საკმარისი იქნება დიდი ქიმიის მშენებლობების ობიექტების დაჩქარებისათვის.

რაც შეეხება მშენებლების უზრუნველყოფას ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, ამაზე მინდა აღვნიშნო, რომ უახლოეს დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა დაჭიმული რკინა-ბეტონის 10.000 კუბმეტრის სიმძლავრის ახალი სტენდი. ეს დიდად გაზრდის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოშვებას.

**რუსთავის № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი ნ. თოდრია:** ამ დღეებში მივიღეთ 360 ცალი ავტოსაბურავი. ეს ხელს შეგვიწყობს უკეთ მოვამარაგოთ მშენებლები ავტოტრანსპორტით.

**აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორი ა. ცაგარეიშვილი:** ჰაერგამყოფი აგრეგატის დარჩენილი ნაწილების მიღებაზე ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული მოსკოვის ოლქის ბალაშიხის მანქანათსამშენებლო ქარხანასთან. მათ ამ დღეებში გამოგვიგზავნეს ტურბოდეტალები, ხოლო ახლო მომავლისათვის გვპირდებიან დანარჩენი ნაწილების მოწოდებას. ცხადია, თუ ამ ნაწილებს დროულად მივიღებთ, აგრეგატის მთლიან მონტაჟს უახლოეს პერიოდში დავამთავრებთ.

ჭიათურა. ნაყოფიერად შრომობს მაღარო ახალი ითხვისის მეხუთე უბნის მიწისქვეშა რკინიგზის მუშა ალექსანდრე ჩიტაძე. მოწინავე მაღაროელი წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად იგი ყოველდღიურ დავალებას 180-190 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ა. ჩიტაძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).



## ჩუვაშეთის ასსრ ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა დიდი წარმატება

მოსკოვი, 17 ნოემბერი. (საკტესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მისალმებაში, რომელიც გაუგზავნა ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე აქტივისტებს, გულითადად მიულოცა მათ დიდი წარმატება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში.

გასული წლის დამლევს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება, რომ 1960 წელს აწარმოებენ 150 ცენტნერ ხორცსა და 600 ცენტნერ რძეს ას ჰექტარ სავარგულზე. წერილში, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაუგზავნეს ნ. ს. ხრუშჩოვს, სასოფლო-სამეურნეო არტელის აქტივისტებმა აცნობეს, რომ 10 თვეში კოლმეურნეობამ 100 ჰექტარ სავარგულზე აწარმოვა 400 ცენტნერი რძე და 153 ცენტნერი ხორცი, აქედან სახელმწიფოს მიეყიდა 128 ცენტნერი ხორცი ყოველ ას ჰექტარ სავარგულზე. მეურნეობაში გადიდდა პირუტყვის სულადობა, ას ჰექტარ სავარგულზე აქ ახლა არის 29 ძროხა.

— ეს დიდი წარმატებაა, — წერს მისასალმებელ წერილში ნ. ს. ხრუშჩოვი. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მაგალითი გახდა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაში. „თქვენ, — ნათქვამია წერილში, — მთელი რიგი წლების მანძილზე 800-1.000 და მეტ ცენტნერ სიმინდის (ღეროსა და ტაროს) მოსავალს იღებთ ჰექტარზე. ამ საქმეში თქვენ ყველას დიდი დამსახურება მიგიძღვით, ძვირფასო ამხანაგებო".

ნ. ს. ხრუშჩოვი უსურვებს ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებს ახალ წარმატებებს მარცვლეულის, ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში.

## პრინც ნოროდომ სიანუკის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში

ხელმძღვანელობდა რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კამბოჯის სამეფოს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისადმი მისწრაფებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირში მოიწვია კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი. ნოროდომ სიანუკმა კმაყოფილებით მიიღო ეს მიწვევა.

ამჟამად მიღწეულია შეთანხმება, რომ პრინც ნოროდომ სიანუკის ვიზიტი საბჭოთა კავშირში მოეწყობა ა. წ. ნოემბრის დამლევს.

## შეჯიბრებაში გამარჯვებული

### ცეკავშირს კვლავ მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა

**ცეკავშირმა** მიმდინარე წლის მესამე კვარტალში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის, ვაჭრობის გაფართოებისა და სოფლის მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის, ზეგეგმითი ეკონომიისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

მესამე კვარტალის დავალებანი ცეკავშირმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. მთლიანად საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 104,6 პროცენტით, აქედან საცალო საქონელბრუნვისა — 104,1 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 108 პროცენტით, საკომისიო ვაჭრობისა — 106,2 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 104,6 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის გეგმა ყველა სახეობის მიხედვით შესრულებულია 142,9 პროცენტით.

კოოპერაციული მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 108,2 პროცენტით.

მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულია კარგი ეკონომიური მაჩვენებლები. დაგროვების გეგმა შესრულებულია 106,1 პროცენტით — მიღებულია 3,4 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებში, აგრეთვე ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მეორადი ნედლეულის შესყიდვაში გაწეულია 2,5 მილიონი მანეთის ეკონომია.

ამას წინათ შეაჯამეს სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკურ კავშირებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, და ცეკავშირს მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

საკავშირო ჯილდოთი აღფრთოვანებულმა ცეკავშირის კოლექტივმა მეოთხე კვარტალში კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და ოქტომბრის საცალო საქონელბრუნვის გეგმა 105,1 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 15,6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

## არტილერისტების დღესასწაული

**დ**ღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ სახელოვან დღესასწაულს — არტილერიის დღეს.

თვრამეტი წლის წინათ ჩვენი არტილერიის მძლავრმა ზალპებმა ამცნეს ქვეყნიერებას, რომ სტალინგრადთან დაიწყო საბჭოთა ჯარების უმაგალითო მასშტაბის კონტრშეტევა, რომელიც ჰიტლერელთა 330-ათასიანი ჯარების დაჯგუფების გარშემორტყმითა და განადგურებით დამთავრდა. ამ დაუვიწყარ დღეებთან დაკავშირებულია საბჭოთა არტილერიის დღის ყოველწლიური დღესასწაული.

შესანიშნავი ტრადიციები აქვს ჩვენს არტილერიას. ჯერ კიდევ ექვსი საუკუნის წინათ რუსი მეზარბაზნეები განთქმული იყვნენ თავიანთი ოსტატობით. საბჭოთა არტილერისტები რუსული არტილერიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეები და განმგრძობნი არიან. სამამულო არტილერიამ სამოქალაქო ომის ცეცხლში წარმატებით უზრუნველყო ჩვენი არმიის გრანდიოზული შეტევა, ანადგურებდა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელთა ბანდებს.

დიდ სამამულო ომში ჩვენმა სახელოვანმა არტილერიამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა.

დიდია საბჭოთა არტილერიის დამსახურება გერმანელ ფაშისტთა ჯავშნიანი ურდოების განადგურებაში მოსკოვთან 1941 წელს. ჩვენმა არტილერისტებმა განსაკუთრებული მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს სტალინგრადთან.

უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა არტილერისტებმა კურსკის რკალზე, ლენინგრადთან, ხარკოვთან, როსტოვთან, ოდესასთან, სევასტოპოლთან, ჭალარა კავკასიონის მისადგომებთან, ტამანში და სხვაგან. არტილერისტებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს ათი გამანადგურებელი დარტყმის განხორციელებაში, რომლებიც ჩვენმა ძლევამოსილმა არმიამ მიაყენა მტრის ძალებს 1944 წელს. 1945 წლის იანვარში საბჭოთა არტილერიამ ბრწყინვალედ გაართვა თავი ფრიად სერიოზულ ამოცანას — მტრის თავდაცვითი ზოლის განადგურებას 1200 კილომეტრ ფრონტზე — ბარენცის ზღვიდან კარპატებამდე. დამამთავრებელ ბრძოლებში ჩვენი არტილერიის დარტყმითი ძალა კიდევ უფრო გაიზარდა. საკმარისია ითქვას, რომ ბერლინის ოპერაციაში 41 ათასზე მეტი ქვემეხი მონაწილეობდა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი არტილერისტების გმირობას. 1800-ზე მეტ კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, მზიური საქართველოს ათასობით შვილი, უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის შვილების მხარდამხარ, თავდადებულად იბრძოდა ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ნიჭიერმა მხედართმთავარმა არტილერისტმა კ. ლესელიძემ დიდი წვლილი შეიტანა გმირულ ბრძოლაში ქალაქ მოსკოვის დასაცავად. მან საუკეთესოდ უხელმძღვანელა არმიის არტილერიას, რომელმაც გუდერიანის სატანკო არმიას ქ. ტულასთან მოსკოვისაკენ გზა გადაუღობა. მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა ჯარებმა წარმატებით შეასრულეს შეტევითი ოპერაცია კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში.

საბჭოთა არტილერიის ისტორიაში ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს გენერალ-მაიორ მ. კიკნაძის და პოლკოვნიკ ა. ნაკაშიძის მეზენიტე არტილერისტებმა. ათასობით ფუთი გავარვარებული ლითონი დაატეხეს მტერს არტილერისტებმა, რომლებსაც სახელმოხვეჭილი მხედარი, საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი ა. პირმისაშვილი ხელმძღვანელობდა.

**ც**ნობილია საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ა. ბუკიას მამაცური მოქმედება სტალინგრადისა და კურსკის გრანდიოზული ოპერაციების მსვლელობის დროს.

სამხედრო საქმის ოსტატი გენერალ-მაიორი ივ. ბაბალაშვილი ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში საუკეთესო აღმზრდელი იყო საბჭოთა არმიის რიგებში მყოფ ახალგაზრდობისა, უნერგავდა მას არტილერიის საქმის სიყვარულს. სამამულო ომის დროს იგი მრისხანე დარტყმებს აყენებდა მტერს. ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრმა ჰიტლერელმა ჰპოვა სამარე. განსაკუთრებით დიდ სტანიცა იშჩერსკაიაში, სადაც მტრის გამაგრებული ზოლი ნაცარტუტად აქცია ი. ბაბალაშვილის შენაერთმა.

არტილერისტს მაიორ შ. გახოკიძეს დიდი დამსახურება აქვს სამშობლოს წინაშე. მან მამაცობისა და გმირობის სახელი დაიმსახურა სტალინგრადთან ბრძოლებში, კურსკის რკალზე, უკრაინაში და მტრის ტერიტორიაზე. ბრძოლით განვლო რამდენიმე ათასი კილომეტრი და ომი გამარჯვებით დაამთავრა ავსტრიის ტერიტორიაზე.

თავის მებრძოლ ამხანაგებს არ ჩამორჩებოდნენ ანაპის დივიზიის გამოჩენილი არტილერისტები პოლკოვნიკ ქრ. გაფრინდაშვილის, მაიორების შ. ნანიტაშვილის, ვ. ზურაბიშვილის, ტაბაღუას, ა. კვეზერელის, ჯაფარიძის, კაპიტნების ჯღარკავას, არდიას, ა. ლანჩავას, ტაბატაძის, ნოდიას, ქამუშაძის და სერჟანტ ბერუაშვილის ქვეგანაყოფები, რომლებმაც ბრძოლით განვლეს ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებიდან სევასტოპოლამდე და გამარჯვების დროშა საუნგორაზე აფრიალეს.

დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა 392-ე მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობაში არტილერისტმა პოლკოვნიკმა მ. გეთიამ. მის ზუსტ და მარჯვე ცეცხლს მწყობრიდან გამოჰყავდა ფაშისტთა ტანკები და ჯავშნიანი მანქანები.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა უდიდესი გამარჯვებით დაამთავრეს, რის შემდეგ მტკიცედ და განუხრელად იცავენ მშვიდობას მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას მხარს უჭერს არა მარტო სოციალისტური ბანაკი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობა.

**მ**სოფლიოში ასეულ მილიონობით ადამიანი მოითხოვს მშვიდობას. ამ კეთილშობილურ საქმეს წინ მიუძღვის დიდი საბჭოთა კავშირი. როგორც ყველასათვის ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამხილა აგრესორების პოლიტიკა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისინი.

წელს არტილერიის დღეს ჩვენ აღვნიშნავთ მშვიდობის მომხრეთა ბანაკის ძლიერების მნიშვნელოვანი განმტკიცების ვითარებაში. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უბრალო ადამიანები თავიანთ ხელში იღებენ მშვიდობის საქმეს, რათა ბოლომდე დაიცვან იგი. მათთვის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევი ბურჯი.

სრულყოფენ რა თავიანთ ცოდნას, საბჭოთა არტილერისტები, რომლებიც შეიარაღებული არიან თანამედროვე ტექნიკით სხვადასხვა სახის რაკეტებით, შესანიშნავად ეუფლებიან თანამედროვე რთულ ტექნიკას და თავიანთი წვლილი შეაქვთ სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. საარტილერიო მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მუდამ ზრუნავენ თავიანთი სახელოვანი არტილერისტების თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებისათვის.

**ვ. ყურაშვილი,**
გენერალ-მაიორი.

• • •



**სურათზე:** თბილისის 26 კომისრის სახელობის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებს ლ. დორმიდონტოვს, (მარცხნიდან), გ. წვიმაძეს, ჯ. მამრიკაშვილსა და სერჟანტ ვ. კრივკოს მეცადინეობის შემდეგ ესაუბრება უფროსი ლეიტენანტი უ. შერმაზანაშვილი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

## არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

18 ნოემბერს ოფიცერთა სახლში გაიმართა თბილისის მშრომელთა საზეიმო კრება ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა არტილერიის დღეს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჟღენტმა.

მოხსენება არტილერიის დღის შესახებ გააკეთა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ი. ტელეგინმა.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქტესი).

### საბჭოთა სომხეთის 40 წლისთავისათვის

## სამეცნიერო სესია

17 ნოემბერს თბილისში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. სესია მოიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გაერთიანებული სამეცნიერო სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა. მან სესიის მონაწილეთა და რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის ყველა მოღვაწის სახელით მხურვალედ მიულოცა სომეხ კოლეგებს და საბჭოთა სომხეთის ყველა მშრომელს სასიხარულო დღესასწაული და უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი.

მოხსენება „სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი" გააკეთა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ხ. კ. კარაპეტიანმა. იგი შეეხო დიდ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია სომეხმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაში, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, თავისი უძველესი კულტურის აყვავებაში.

— მოახლოებულ ეროვნულ დღესასწაულს, — თქვა აკადემიკოსმა ხ. კ. კარაპეტიანმა, — სომეხი ხალხი აღნიშნავს თავისი შემოქმედებითი ძალების დიდი აყვავებით, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მჭიდრო ერთიანობით.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. დ. ჩხარტიშვილმა სესიაზე გააკეთა მოხსენება: „სომეხი და ქართველი ხალხების თანამეგობრობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში". ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას, თქვა მომხსენებელმა, მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ეს მეგობრობა განსაკუთრებით მტკიცე და მჭიდრო გახდა იმ წლებში, როცა ამიერკავკასიის მშრომელები იბრძოდნენ მენშევიკების, მუსავატებისა და დაშნაკების საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ. აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილების დაღვრილმა სისხლმა ერთობლივ ბრძოლაში რევოლუციის საქმისათვის, საბჭოების ხელისუფლებისათვის, კიდევ მეტად განამტკიცა მათი მეგობრობა და ძმობა.

სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების ეკონომიურ თანამშრომლობაზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ს. მიქელაძემ. მან აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ თანამშრომლობას ორ რესპუბლიკას შორის მათი შემდგომი სამეურნეო აყვავებისათვის.

გულთბილად შეხვდნენ სესიის მონაწილენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სახალხო პოეტს იოსებ გრიშაშვილს. მან წაიკითხა მოხსენება „სომხეთისა და საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან". (საქტესი).

## მ. ი. კალინინის დაბადების 85 წლისთავის გამო

**საქართველოს** საზოგადოებრიობა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ფართოდ აღნიშნავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მ. ი. კალინინის დაბადების 85 წლისთავს.

ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღისათვის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურის გამოფენა. ჩვენი სახელმწიფოს ამ გამოჩენილი მშენებლის სახელობის ბიბლიოთეკამ მოამზადა მხატვრული საღამო თემაზე „მ. ი. კალინინი კომუნისტური აღზრდის შესახებ".

რაიონში, რომელიც ატარებს მ. ი. კალინინის სახელს, აგრეთვე ორთქლმავალვაგონშემკეთებელსა და მექანიკურ ქარხნებში, სადაც რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე მ. ი. კალინინი მუშაობდა რიგით მუშად, ამ დღეებში ეწყობა ლექციები და საუბრები.

(საქტესი).



# მივცეთ მშრომელებს სახალხო მოხმარების

## საქართველოს კომუნისტური პარტიის

აზორციელებენ რა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და მათ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას. ისინი იჩენენ მუდმივ ზრუნვას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველი ღონისძიებით ზრდისათვის, მისი რესურსების გადიდებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 16 ნოემბერს გაიმართა.

მოხსენება „სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ამაღლების, ასორტიმენტის გაფართოების, ვაჭრობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

საკითხი, რომელსაც პლენუმი განიხილავს, თქვა გ. დ. ჯავახიშვილმა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, შემადგენელი ნაწილია მთელი ჩვენი მუშაობისა იმისათვის, რომ შემდგომ ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე, შევუქმნათ მშრომელებს უკეთესი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

## საქდესის განცხადება

როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იკედამ 14 ნოემბერს პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც ცდილობდა საქმე ისე დაეხატა, თითქოს იაპონიის მთავრობა ისწრაფვის საზავო ხელშეკრულება დადოს საბჭოთა კავშირთან და მზადაა განაახლოს შესაბამისი მოლაპარაკება, მაგრამ ამას თითქოს ხელს უშლის სსრ კავშირის პოზიცია.

საბჭოთა კავშირის ოფიციალურ წრეებში დიდ გაკვირვებას იწვევს იკედას ამგვარი განცხადება, რომელიც ნამდვილი ვითარების დამახინჯების ცდად მიაჩნიათ. მაშ, სინამდვილეში ვინ უშლის ხელს საზავო ხელშეკრულების დადებას სსრ კავშირსა და იაპონიას შორის?

საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხალხებმა კარგად იციან, რომ პრემიერ-მინისტრი კისი გადადგომამდე მუდამ აკეთებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებს. ამავე დროს საბჭოთა კავშირის პოზიცია იაპონიის მიმართ, ისევე როგორც წინათ, შემდეგია:

საბჭოთა კავშირის ერთადერთი მისწრაფებაა იცხოვროს მშვიდობითა და მეგობრობით მახლობელ იაპონელ მეზობელთან. ითანამშრომლოს მასთან თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა მთავრობა კი არა, არამედ იაპონიის მთავრობა უკვე ოთხი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი დეკლარაციის დებულებათა საწინააღმდეგოდ, ყოველნაირად თავს არიდებს იმას, რომ განახლდეს მოლაპარაკება და დაიდოს საზავო ხელშეკრულება.

ახლა იაპონიის მთავრობა სიტყვით მზადაა თავი დაგვიხატოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრედ. საქმით კი მან ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული სამხედრო ხელშეკრულებით თავისი ქვეყნის ტერიტორია დაუთმო უცხოელთა სამხედრო ბაზებს, რომლებიც უწინარეს ყოვლისა გამიზნულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხელს უწყობს ამერიკის მხედრიონის აგრესიულ ღონისძიებებს, მხედრიონისა, რომელიც დაძაბულობას ქმნის შორეულ აღმოსავლეთში.

„ჩვენ ამერიკის ძლიერებაზე დაყრდნობით უნდა დავუპირისპირდეთ საბჭოთა კავშირს", — განაცხადა ამას წინათ იკედამ, რითაც გამოააშკარავა მილიტარიზმის აღორძინებისა და იაპონიის მშვიდობისმოყვარე მეზობელთა წინააღმდეგ სამხედრო ბლოკირების პოლიტიკა, რომელსაც იაპონიის მმართველი წრეები ახორციელებენ. მშვიდობის საქმისათვის სწორედ ეს სახიფათო პოლიტიკა არის იმის მიზეზი, რომ დღემდე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მეთექვსმეტე წელს, ჯერ კიდევ ხელმოწერილი არ არის საზავო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის.

შეიბოჭა რა თავი ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული სამხედრო ხელშეკრულების ვალდებულებებით, იაპონიის მთავრობა განზრახ ქმნის სხვადასხვა დაბრკოლებას საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საბოლოო ნორმალიზაციის გზაზე. სწორედ ამ მიზნით იგი ხელოვნურად აღვივებს ეგრეთწოდებულ ტერიტორიულ საკითხს და აღაგზნებს რევანშისტურ განწყობილებას იაპონიაში.

ამრიგად, ცხადია, საბჭოთა კავშირის ბრალი კი არ არის, რომ მის იმ ღონისძიებებს, რომ ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს იაპონიასთან, ჯერ არ მოაქვს სასურველი შედეგები. რატომ დასჭირდა იაპონიის პრემიერ-მინისტრს დღეს გაეკეთებინა განცხადება სსრ კავშირთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, განცხადება, რომელიც ამახინჯებს საქმის ნამდვილ ვითარებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ იაპონიის პარლამენტის მომავალ არჩევნებს.

საბჭოთა მთავრობას კვლავ გულწრფელად სურს დაამყაროს ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხალხებს შორის. იაპონიის მთავრობის დანაშაულით საბჭოთა სახელმწიფოს მთელი არსებობის 43 წლის მანძილზე სსრ კავშირსა და იაპონიას შორის არ ყოფილა ნამდვილი კეთილმეზობლური ურთიერთობა. რას ფიქრობს ამის გამო იაპონიის ახლანდელი მთავრობა, რომელსაც ანტისაბჭოთა პოზიცია უკავია? განა ეს უბედურება არ იყო იაპონელი ხალხისა და შორეული აღმოსავლეთის ყველა ხალხისათვის? საბჭოთა კავშირის ოფიციალური წრეები დიდად ნანობენ იაპონიის მთავრობის ამგვარი პოზიციის გამო.

# მეტი მაღალხარისხოვანი საქონელი!

## ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

...ს, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა შე-...ავლონ მოთხოვნილება სახალხო მოხ-...ების ამა თუ იმ საქონელზე. ამ მონა-...მებით უნდა მიეცეს მრეწველობას ...გად დასაბუთებული შეკვეთები. მან ...პარაკა აგრეთვე თბილისის სავაჭრო ...ლის სპეციალიზაციისა და შემდგომი ...ართოების, საქონლის რეკლამის საქ-... გაუმჯობესების საკითხებზე.

...საბჭოთა ადამიანები წარმატებით წყვე-... სკკპ XXI ყრილობის მიერ დასა-... ამოცანებს ჩვენს ქვეყანაში კომუ-...მის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ...ქმნის შესახებ, — ამბობს საქართვე-...ს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავ-...ომარე გ. ი. ჩოგოვაძე. — ახლა ჩვე-... მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ...ოცანაა ბრძოლა პროდუქციის მაღა-... ხარისხისათვის, მისი თვითღირებუ-...ბის შემცირებისათვის. ახალი ტექნი-...ს და მოწინავე ტექნოლოგიის დანერ-...ამ, მოწყობილობის მოდერნიზაციამ, ...წარმოთა რეკონსტრუქციამ და გაფარ-...ებამ, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნე-...ს მშენებლობამ არსებითად გაადიდა ...სპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბ-...ს მრეწველობის მიერ გამოშვებული ...ების პროდუქციის, სახალხო მოხმარე-...ს საქონლის რაოდენობა. მაგრამ მიღ-...ული ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. არის ...იდესი შესაძლებლობანი, რომ კიდევ ...ერო გაიზარდოს საფეიქრო ნაწარმის, ...ნსაცმლის, ფეხსაცმლის, საოჯახო და ...ლტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშ-...

...ციები, თქვა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. მ. უკლებამ, პარტიის დირექტივებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და საბჭოთა ადამიანების განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების შესახებ შეხვდნენ როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამას. მსუბუქი და კვების მრეწველობა წამყვანია ბათუმში. ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ტყავის საქონელი, ავეჯი, სარეცხი მანქანები, ხილის კონსერვები, ლუდი, საკონდიტრო ნაწარმი, პურ-ფუნთუშეული — ასეთია მათი პროდუქციის არასრული ნუსხა.

ამ ბოლო დროს ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სამკერვალო ფაბრიკაში კომუნისტური შრომის აგრეგატები, რომლებსაც ნ. სიხარულიძე და ა. პშენიჩნაია ხელმძღვანელობენ, ახლა მუშაობენ ტექნიკური კონტროლის განყოფილების გარეშე და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ. ფაბრიკის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებამ ტირასპოლის სამკერვალო ფაბრიკასთან. საკმაოდ კარგ ფეხსაცმელს უშვებს ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა, სადაც დანერგილია ბავშვის ფეხსაცმლის შეკერვის პროგრესული მეთოდი. ამას წინათ ბათუმის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა გამოუშვა პირველი პარტია მცირეგაბარიტიანი ავეჯისა — შიფონერები, წიგნის კარა-...



სურათებზე: 1. მომხმარებლები თბილისის ა. წერეთლის პროსპექტზე ახლადგახსნილი ხამრეწველო მაღაზიის მზა ტანსაცმლის განყოფილებაში. 2. თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ელექტროსექციაში. 3. უნივერმაღის აბრეშუმის ქსოვილების განყოფილება.

ფოტო ბ. ლადვაძისა.



„ესკიმოსი ნავში". როკუელ კენტის ნახატი.

# ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატი

## ორი ტურის შემდეგ

რიგა. (სპეც. კორ.). გრძელდება ჩვენი ქვეყნის ქალთა პირველობის გათამაშება ჭადრაკში. გუშინ მოეწყო პირველ ორ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

სრულიად მოულოდნელი შედეგით დამთავრდა პირველ ტურიდან ო. იგნატიევასა და ნ. გაფრინდაშვილის გადადებული პარტია. როგორც ვიუწყებოდით ეს პარტია გადადებული იყო ნ. გაფრინდაშვილისათვის მოსაგებ პოზიციაში. მას ზედმეტი გამვლელი პაიკი ქონდა. ო. იგნატიევა ზუსტად იცავდა თავს, ხოლო მისმა მეტოქემ რამდენიმე არაზუსტი სვლა გააკეთა. ყოველივე ამან გამოიწვია პოზიციის გათანაბრება და ნ. გაფრინდაშვილს ისღა დარჩა, რომ ყაიმს დასჯერებოდა.

საქართველოს მოჭადრაკეთა მეორე წარმომადგენელმა ა. ჩაიკოვსკაიამ კარგად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა ვ. კოზლოვსკაიასთან გადადებულ პარტიაში და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო. ასევე წარმატებით ჩაატარა გადადებული პარტიის დასკვნითი ნაწილი ა. კუშნირმა ა. ვიტკოვსკაიას წინააღმდეგ და გაიმარჯვა.

ქ. ზვორიკინა ენერგიულად იბრძოდა პირველ ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში ე. კაკაბაძის წინააღმდეგ. ქართველმა მოჭადრაკემ დებიუტიდან უარესი პოზიცია მიიღო და მატერიალური ზარალი განიცადა. პარტია გადაიდო ქ. ზვორიკინასათვის მოსაგებ მდგომარეობაში. მას ზედმეტი ხარისხი და პაიკი აქვს.

მეორე ტურიდან ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენლის მ. ტოგონიძისა და ა. ჩაიკოვსკაიას გადადებულ პარტიაში, სადაც პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო, ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ლ. ვოლპერტმა ძლიერად ჩაატარა შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი ა. კუშნირთან გადადებულ პარტიაში და გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ თ. ზატულოვსკაიამ დაამარცხა ს. როოტარე.

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი დიდ ფეხბურთზე

საფეხბურთო მოედნებზე ცხარე ბრძოლები მიწყნარდა, აქა-იქ, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში თუ მოჰკრავთ ყურს ბურთზე დარტყმის ხმას. აღარც ფეხბურთის მარშის ნაცნობი მელოდია გაისმის. ერთი სიტყვით, კარზე მომდგარმა ზამთარმა შთანთქა ფეხბურთის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი.

მაგრამ ყოველივე ეს დროებითია. მომავალ დიდ ფეხბურთზე ფიქრები და მზადება, მზადება საკავშირო ჩემპიონატისა და მსოფლიო პირველობისათვის აქედანვე იწყება. და სანამ ფეხბურთის მოყვარულები თავიანთ საყვარელ გუნდს კვლავ იხილავენ მოედანზე, ბევრია გასაკეთებელი ოსტატთა კოლექტივებში.

როგორი იყო მიმდინარე წლის ფეხბურთის სეზონი, რა სიახლეებია მოსალოდნელი მომავალში?

ამ კითხვებზე მსჯელობას მიუძღვნა საკავშირო რადიოკომიტეტის უკანასკნელ ცნობათა რედაქციის სპორტულმა განყოფილებამ თავისი 17 ნოემბრის გადაცემა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. გრანატკინის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. სტაროსტინისა და რადიოკომენტატორის ნ. ოზეროვის მიკროფონთან გამოსვლით.

აი რას გვიამბობენ ისინი:

— მიმდინარე წლის პირველობის გათამაშების ახალმა სისტემამ უთუოდ გაამართლა იმედები, უფრო მასობრივი და საინტერესო გახადა ფეხბურთი ყველა მოძმე რესპუბლიკაში. ამაღლდა ფეხბურთის კლასი, გაუმჯობესდა ახალგაზრდა კადრების მომზადება. მაგრამ ამ ახალ საქმეს თავის ნაკლოვანებებიც ჰქონდა. ვ. გრანატკინისა და ა. სტაროსტინის აზრით, უნდა გადიდდეს ფინალურ ჯგუფში მონაწილეთა რიცხვი 10 ან 12 გუნდამდე, ხოლო ოთხი ფინალური ჯგუფის ნაცვლად შეიქმნას 2 ჯგუფი თერთმეტ-თერთმეტი გუნდის მონაწილეობით.

მომავალი წლიდან უნდა განახლდეს გადასასვლელი მატჩები საკავშირო პირველობის გათამაშებაში მონაწილე გუნდებსა და რესპუბლიკის ჩემპიონებს შორის, ხოლო 1962-1963 წლებიდან „ა" კლასიდან გავა 3 გუნდი და მათ ადგილებს დაიკავებენ რსფსრ, უკრაინისა და რესპუბლიკის ზონებში გამარჯვებულნი.

საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების პარალელურად ყურადღება გამახვილებული იქნება მსოფლიო პირველობის გათამაშებისადმი, რომელიც 1962 წელს გაიმართება ჩილიში, რისთვისაც ჩვენი გუნდის ტექნიკურ და ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებასთან ერთად საჭირო იქნება მოთამაშეთა აკლიმატიზაცია. მაგრამ სანამ დასკვნით შეხვედრამდე მივაღწევდეთ, საჭიროა ბრძოლა ფინალში გასვლისათვის. ივნისში ჩვენ მოგვიხდება ორი მატჩის გამართვა თურქეთისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებთან, ხოლო შემდეგ მოგვიწევს ორი გასვლითი მატჩის ჩატარება.

უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის, რომლებიც გვერდში ამოუდგებიან ჩვენს სახელოვან ფეხბურთელებს. სსრ კავშირის ნაკრებში კვლავ დიდ იმედებს ვამყარებთ იაშინზე, ჩოხელზე, ვოინოვზე, მანოშინზე, მეტრეველზე, ივანოვზე, პონედელნიკზე, მესხზე.

შეკითხვაზე, მიმდინარე წლის სეზონში რომელ შეხვედრებს თვლიან ყველაზე საინტერესო მატჩებად, ვ. გრანატკინმა და ა. სტაროსტინმა ერთხმად აღიარეს, რომ ყველაზე უკეთესი შეჯიბრება იყო სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის, აგრეთვე დონის როსტოვის სკა-სა და მოსკოვის „ტორპედოს", დედაქალაქის „დინამოს" და „ტორპედოს" შეხვედრები. საერთაშორისო მატჩებიდან ყველაზე საუკეთესოდ აღიარებულია ევროპის თასის გათამაშების ფინალური ასპარეზობა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის.

ვ. გრანატკინისა და ა. სტაროსტინის აზრით, მეკარეთა შორის ჯერჯერობით კვლავ ყველაზე უკეთესად ითვლება ლ. იაშინი, მცველთა შორის — გ. ჩოხელი, თავდამსხმელთა შორის — მ. მესხი, ვ. ივანოვი.

ვის თვლით ყველაზე კორექტულ, დისციპლინიან მოთამაშედ სსრ კავშირში? ამ კითხვის გარშემო ორი აზრი არ ყოფილა. ასეთ მოთამაშედ ერთხმად აღიარებულ იქნა თბილისის „დინამოს" გუნდის კაპიტანი სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ ღოღობერიძე.

## პოლონელი მოჭიდავეები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის პროფკავშირთა ნაკრები გუნდი კლასიკურ ჭიდაობაში. 20 ნოემბერს ისინი თბილისში გამართავენ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „განთიადის" მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდთან.

ჩამოსვლის დღესვე სტუმრებმა პირველი წვრთნა მოაწყეს.

# ამერიკელი მხატვრის საჩუქარი საბჭოთა ხალხს

## პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში

მოსკოვი, 16 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში გაიმართა ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი ცნობილი პროგრესული ამერიკელი მხატვრის როკუელ კენტის პრეს-კონფერენცია. სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. ნ. კუზნეცოვმა შეკრებილთ წარუდგინა მხატვარი და მისი მეუღლე. როკუელ კენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

— რამდენიმე თვის წინათ ჩემს მეგობრებს ვაცნობე, რომ მსურს საბჭოთა ხალხს საჩუქრად გადავცე ჩემი ნამუშევრების კოლექცია. მომცეს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებიც, როგორც მგონია, დაგებადებათ თქვენც. ამიტომ შევეცდები რაც შეიძლება სრულად გიპასუხოთ ამ კითხვებზე.

რატომ არ გადავეცი ჩემი ნამუშევრები ამერიკელ ხალხს, რატომ არ ვთხოვე ამერიკის რომელიმე მუზეუმს მიეღო ისინი? უნდა აღვნიშნო, რომ მთელი ჩემი კოლექცია საჩუქრად შევთავაზე მეინის შტატის როკლანდის ფარნსვორტის მუზეუმს. კოლექცია მიიღეს, მუზეუმის დირექტორმა აღმითქვა, რომ მის განსალაგებლად მუზეუმს მიაშენებდნენ სპეციალურ ფრთას.

შემდეგ მხატვარმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც იგი გამოიძახეს ვაშინგტონში, მაკარტის ავადსახსენებელ კომისიაში, სადაც მან უარი განაცხადა პასუხი გაეცა კითხვაზე თავის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ, ფარნსვორტის მუზეუმმა დაუყოვნებლივ უარყო მისი საჩუქარი.

ვიმედოვნებ, განაგრძო კენტმა, რომ ამერიკელი ხალხი, რომელსაც ხშირად გამოუთქვამს სიყვარული ჩემი შემოქმედებისადმი, გაიგებს, რომ ჩემი ნამუშევრების კოლექციის გაცნობა შეზღუდულ იქნებოდა ოფიციალური და მთავრობის კონტროლით, და გაიგებს იმ მოტივებს, რომელთაც გადამადგმევინეს ეს ნაბიჯი.

როგორც რ. კენტმა ხაზგასმით აღნიშნა, ამ საქმეში ყველაზე უჩვეულო მხარეა ის, რომ მისი საჩუქარი არ ითვალისწინებს რაიმე ფინანსურ საზღაურს. „მილიონობით ადამიანის პატივისცემა და სიყვარული ჩემი სურათებისადმი უფრო დიდმნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ფული", — თქვა რ. კენტმა.

როგორც ამერიკელი, მე დარწმუნებული ვარ და ვფიქრობ, რომ ამაში დარწმუნებული უნდა იყოს მსოფლიოს ყველა ხალხი, — ჩვენ დიდ ვალში ვართ საბჭოთა ხალხის წინაშე, თუ ერთი სიტყვით გამოვთქვამთ — სტალინგრადისათვის. ეს საჩუქარი ჩემი მადლიერების აქტია.

როკუელ კენტმა გამოაქვეყნა აგრეთვე ტექსტი თავისი წერილისა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოპოვასადმი.

ამ წერილში მხატვარი აღნიშნავს, რომ დიდ მადლობას უძღვნის ამ ორგანიზაციას, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მას მოეწყო თავისი ნამუშევრების გამოფენა საბჭოთა კავშირში. მე დიდად გამახარა, ნათქვამია წერილში, იმ ფაქტმა, რომ ჩემი ნამუშევრები დახასიათებულ იქნა, როგორც „ხალხური ხელოვნება", ესე იგი ის, რაც უნდა იყოს ყოველგვარი ხელოვნება, რომელიც ისე ასახავს ცხოვრებას, როგორც ამ ცხოვრებას ადამიანთა უმრავლესობა აღიქვამს. ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ჩემი ეს უბრალო, მაგრამ გულით მოძღვნილი საჩუქარი საბჭოთა ხალხისადმი.

კენტის კოლექციაში 80 სურათი, 800 ნახატი და გრავიურა და დიდძალი წიგნებია, რომლებიც დაწერა და გააფორმა მხატვარმა.

მე ვბედავ შევთავაზო ყოველივე, რაც დამრჩა, წერს რ. კენტი, საბჭოთა ხალხს, ჩემი აზრით, ისტორიაში მშვიდობის ყველაზე დიდი აქტისათვის — იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მან მოითხოვა განხორციელდეს სრული და საყოველთაო განიარაღება მთელ მსოფლიოში.

პრეს-კონფერენციის დასასრულს როკუელ კენტმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე, განაცხადა, რომ მისი ნაჩუქარი ნამუშევრების გამოფენა 19 ნოემბერს გაიხსნება სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის დარბაზებში.

# შავი ღრუბლები კუბის ცაზე

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ოგასტიდან (ჯორჯიას შტატი), სადაც ამჟამად იმყოფება პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, იქ დღეს გამოქვეყნდა თეთრი სახლის განცხადება პრეზიდენტის ბრძანების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ფლოტისადმი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ეიზენჰაუერის ამ ბრძანებით განკარგულება ეძლევათ სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და საზღვაო ავიაციას „აღმოაჩინონ და თავიდან აიცილონ" ყოველი თავდასხმა, რომელიც თითქოს ემუქრება გვატემალასა და ნიკარაგუას.

ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ამ სამხედრო აქციის აზრი აშკარა ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გვატემალა და ნიკარაგუა წარმოადგენენ ბაზებს, სადაც მზადდება კუბაზე თავდასხმა. ნიკარაგუაში, მაგალითად, თავმოყრილია ინტერვენტთა დიდი სამხედრო ნაწილები, რომლებიც მხოლოდ სიგნალს ელიან კუბის რესპუბლიკაზე თავდასხმისათვის.

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა არ მალავს, რომ პრეზიდენტის ბრძანება ახალი რგოლია შეერთებული შტატების მმართველი წრეების პროვოკაციულ პოლიტიკაში კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ გუშინ ამერიკის დეპეშათა სააგენტოები გაცხოველებით ავრცელებდნენ ხმებს, რომ გვატემალა და ნიკარაგუა აპირებენ ომი გამოუცხადონ კუბას „შურის საძიებლად" იმ დახმარებისათვის, რასაც თითქოს კუბის მთავრობა უწევდა აჯანყებულებს ამ ქვეყნებში.

ჰავანა, 17 ნოემბერი. (საკდესი). კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა კარლოს ოლივარესმა ამერიკის შეერთებული შტატების დროებით საქმეთა რწმუნებულს დ. ბრედოკს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც რევოლუციური მთავრობის სახელით გადაჭრით უარყოფს ამერიკის ამასწინანდელ ნოტას, რომელიც შეურაცხმყოფელ განცხადებებს შეიცავს კუბის რევოლუციურ ხელისუფალთა მისამართით იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში კუბაში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს სამ ამერიკელს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს თავისუფალ და დამოუკიდებელ კუბაზე დანაშაულებრივ მეკობრულ თავდასხმაში.

როგორც ჩანს, ნათქვამია, კერძოდ, კუბის ნოტაში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს უგულებელყოს უკვე არაერთხელ განმტკიცებული ვითარება, რომ კუბამ სავსებით აღადგინა თავისი ეროვნული სუვერენიტეტი და ახლა მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ის მტკიცე მოთხოვნა, რომ იქისროს უფლებამოსილებანი, რათა დააწესოს ნორმები რევოლუციური მთავრობისა და კუბის ტრიბუნალებისათვის.

უნდა გავიგოთ, აღნიშნულია შემდეგ კუბის ნოტაში, რომ ახლა კუბას მართავს მისი მკვიდრი ხალხი და რომ ხალხის დავალებით მოქმედებს რევოლუციური მთავრობა, რომელსაც სრულად აქვს შეგნებული თავისი ისტორიული პასუხისმგებლობა.

აღნიშნავს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მფარველობს და აფინანსებს კუბის საწინააღმდეგო საქმიანობას, აწარმოებს ცილისმწამებლურ კამპანიას კუბის რევოლუციის, კუბის ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ, კარლოს ოლივარესი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი პასუხისმგებლობა სამი ამერიკელის მხილებისა და დასჯისათვის, რაც კანონის სრული შესაბამისობითა და მართლმსაჯულების ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით განხორციელდა, ეკისრებათ მათ, ვინც მოატყუა ამერიკელი ხალხის ნაწილი და აიძულა დაეჯერებინა ზოგიერთი მოყიდული ავანტიურისტი იმაში, რომ პატარა კუბა გამოსადეგი ადგილია მათი დანაშაულობისა და ძარცვა-გლეჯისათვის.

კუბის ნოტაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ყველა ამერიკელი, რომლებიც პატივს სცემენ კუბის კანონებს, სარგებლობენ თანასწორუფლებიანი გარანტიებითა და უშიშროებით. მიუხედავად იმისა, რომ კუბას სურს დამყაროს ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთან მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს შეუძლებელი გახადოს ასეთი ურთიერთობა. იგი კრძალავს ტურიზმს კუბაში და ამავე დროს აქეზებს ინტერვენციას. მას, ვინც კუბაში ჩამოდის იმისათვის, რომ წაართვას მისი მიწა-წყალი, შებღალოს მისი სუვერენიტეტი, აღადგინოს უცხოელთა ბატონობა და დამნაშავეთა და მძარცველთა ხელისუფლება, ნათქვამია ნოტაში, კუბაში შეხვდებიან მხოლოდ როგორც დამნაშავეებს, კუბელი ხალხის ბედნიერების მტრებსა და კუბელი და ამერიკელი ხალხების ჯანსაღი ურთიერთობის მტრებს. და თუ ისინი არ დარჩებიან ბრძოლის ველზე მწოლარე და მათი სისხლი არ აირევა კუბის მიწის მტვერში, როგორც ამბობდა ხოლმე დიდი ეროვნული გმირი გენერალი მასეო, მათ მოელით რევოლუციური მართლმსაჯულება მთელი თავისი სიმკაცრით.

## ამერიკის თვითმფრინავი საბჭოთა გემის თავზე

კალინინგრადი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ნორვეგიის ზღვის ნეიტრალურ წყლებში ბალტიის თევზის მრეწველობის ტრესტის ათეულობით თევზსაჭერი ტრაულერია.

მცურავი ბაზის „ზაპოლიარიეს" კაპიტანმა ვ. კ. ვოინოვმა 14 ნოემბერს რადიოთი გადმოსცა, რომ ფარერის კუნძულების ჩრდილო-აღმოსავლეთით მყოფი გემის ზემოთ გამოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავი. იგი ისე დაბლა დაეშვა გემის თავზე, რომ კარგად მოჩანდა ამერიკის გამოსაცნობი ნიშნები და ნომერი 145906. ფრენის დროს, რაც გრინვიჩის დროით 12 საათიდან 13 საათსა და 30 წუთამდე გრძელდებოდა, თვითმფრინავის ეკიპაჟი აწარმოებდა ხომალდის ფოტოგადაღებას.

## მღელვარება სამხრეთ კორეაში

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება სამხრეთ კორეიდან, დღეს სეულში ქრისტიანთა უნივერსიტეტის სტუდენტებმა დემონსტრაცია გამართეს პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ სამი კორეელი მასწავლებელი გარიცხეს უნივერსიტეტიდან, რომელიც ამერიკელთა გამგებლობაშია.

რამდენიმე ასეულმა სტუდენტმა დაარბია უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და ადმინისტრაციული საბჭოს პრეზიდენტის (ორივე ამერიკელია) რეზიდენციები.

პოლიციამ დააპატიმრა 200 სტუდენტი. სამხრეთ კორეის განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ მათ სასტიკად დასჯიან.

## რეპრესიები სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკდესი). სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში ამბოხების ჩაფუშვის შემდეგ შეიქმნა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერების მიზნით, დღეს გამოაქვეყნა თავისი მოქმედების პროგრამა. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, კომიტეტი აწარმოებს ბრძოლას ყოველგვარი „ძირგამომთხრელი მოქმედების" წინააღმდეგ, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი. მას განზრახული აქვს განახორციელოს წმენდა მთავრობის აპარატში და კერძო ორგანიზაციებში. და „ანგარიში გაუსწოროს" ყველას, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამს ახლანდელი პროამერიკული რეჟიმის გამო.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, დღეს ლაოსის პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ გადააყენა ლაოსის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ოან რატიკონი და მის ადგილზე დანიშნა გენერალი პატამავონგი.

ლონდონი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, დღეს სტუდენტთა დემონსტრაციის გასარეკად გამოიყვანეს დაახლოებით ათასი პოლიციელი, პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, დემონსტრანტებს სცემდა ხელკეტებს. სტუდენტთა შორის არიან დაჭრილები.

პარიზი, 17 ნოემბერი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტაიბეიდან იუწყება, ტაივანზე ამერიკის სამხედრო მრჩეველთა საკონსულტაციო ჯგუფის უფროსმა გენერალმა ჩესტერ დალენმა დღეს განაცხადა, რომ ჩან კაი-შის შეიარაღებული ძალები სწავლობენ ატომური ომის წარმოებას.

ამერიკელმა გენერალმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩანკაიშელთა შეიარაღებულ ძალებს აღჭურავენ „ახალი იარაღით" და რომ ჩანკაიშელ ოფიცერთა ჯგუფი შეერთებულ შტატებში სწავლობს „ნიკას" მართული ყუმბარების ხმარებას. (საკდესი).

# საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

## ვაშინგტონში ჩავიდა საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია

ვაშინგტონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია კ. სიმონოვის, ვ. პანოვას, ე. მეჟელაიტისისა და ე. რომანოვას შემადგენლობით. დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაჰყოფს ერთ თვეს და, ვაშინგტონის გარდა, ეწვევა ქალაქ ნიუ-იორკს, ახალ ორლეანს, სპრინგფილდს, ბუფალოსა და ბოსტონს. ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მწერლების ყოფნის პროგრამა ითვალისწინებს მათ ამერიკელ კოლეგებთან შეხვედრებს, შეერთებული შტატების თეატრალური, სახვითი ხელოვნების გაცნობას.

# მობუტუ აჩვენებს თავის „ძალას"

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). მაშინ როცა დასავლეთის სახელმწიფოები ყოველი საშუალებით ცდილობენ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონგოს წარმომადგენლად აღიარებულ იქნას კასავუბუს დელეგაცია, რომელიც გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩამოვიდა კონგოს პარლამენტისა და ხალხის რწმუნებულებათა შეუთანხმებლად, თვით კონგოში კასავუბუს თანამოაზრენი, რომელთაც პოლკოვნიკის სამხრეებიანი მარიონეტი მობუტუ მეთაურობს, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ დასახონ თავიანთი თავი კონგოს მბრძანებლებად.

დღეს მობუტუმ ლეოპოლდვილში გამართა „სამხედრო პარადი". პარადის დროს მობუტუსა და მისი სტუმრების — დასავლეთელი დიპლომატების წინ ჩაიარეს ლეოპოლდვილისა და თისვილის გარნიზონების ნაწილების თავზეხელაღებულმა მებრძოლებმა. პარადზე გამოყვანილი იყო აგრეთვე 8 ჯავშნოსანი, არტილერია, ჯიპები.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, ოფიციალურად პარადი მიმდინარეობდა „ორი მსოფლიო ომის დროს დაღუპულ კონგოელთა ხსოვნის დღესთან" დაკავშირებით, მაგრამ მისი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ეჩვენებინა ის, რომ „კონგოს მდგომარეობისადმი კონტროლი მობუტუს ხელშია". დაახლოებით ათასი შეიარაღებული მობუტუელი ჟანდარმი გამოიყვანეს პარადის დასაცავად, ჩანს, იმ შიშის გამო, რომ ქალაქის მოსახლეობა, როგორც ეს წინათ ხდებოდა ხოლმე, ქვებს არ დაუშენდა მობუტუს მებრძოლებისათვის.

სიფრთხილის ეს ღონისძიებანი, რაც მეამბოხეებმა განახორციელეს, ზედმეტი როდი აღმოჩნდა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც აღწერს პარადის ცერემონიას, აღნიშნავს, რომ „ადამიანთა დიდი ჯგუფები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ პარადს, მობუტუს გამოჩენას შეხვდნენ მტრული დუმილით, და ბევრი მუშტს უღერდა მას".

სააგენტოთა ცნობებში აღნიშნულია, რომ დასავლეთის დიპლომატებმა ლეოპოლდვილში მობუტუელთა ეს მსვლელობა შეაფასეს როგორც „ძალის შთაბეჭდილების მომხდენი ჩვენება". მაგრამ აფრიკა-აზიის ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც კონგოს ერთადერთ კანონიერ მთავრობად პატრის ლუმუმბას მთავრობა მიაჩნიათ, ბოიკოტი გამოუცხადეს პარადს. პარადს არ დაესწრებიან აგრეთვე კონგოს მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ შორის ლეოპოლდვილის პროვინციის მთავრობის პრემიერ-მინისტრი კამიტატუ, რომელიც, კორესპონდენტთა აღიარებით, „ლუმუმბას ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მომხრეა".

მთელ ამ ფარსში, რომელიც დღეს კონგოელმა პუტჩისტებმა გაითამაშეს, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მეამბოხეთა პარადზე ოფიციალურ სტუმრებად ესწრებოდნენ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის მაღალი თანამდებობის მოსამსახურენი, მათ შორის ფონ ჰორნი და რიკჰი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო სარდლობის მხრივ მეამბოხეთა ეს წაქეზება მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ სულ ამ რამდენიმე დღის წინათ თავის მოხსენებაში კონგოს მდგომარეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიამ დაგმო მობუტუს ბანდები, როგორც „უკანონობის მთავარი წყარო".

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან ლეოპოლდვილიდან, მობუტუს განკარგულებით მისმა ჯარისკაცებმა, რომლებიც გარს არტყიან პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას რეზიდენციას, დაიჭირეს კონგოს რესპუბლიკაში განის საელჩოს მესამე მდივანი მენსახი და არ გაუწიეს ანგარიში მის დიპლომატიურ იმუნიტეტს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მენსახი ამჟამად დაპატიმრებულია და იმყოფება ლეოპოლდვილის სამხედრო ბანაკში.

# ამას შენზე ამბობენ, ჩემო სამშობლოვ!

## უცხოელის თვალით

სამი დღის განმავლობაში კუბელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გაზეთ „ლა პალაბრას" დირექტორი ხოსე პარდო ლიადა, ეცნობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას. დელეგაცია ეწვია რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და სოფელს, სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, კულტურულ დაწესებულებებს.

კუბელმა ჟურნალისტებმა ორი დღე დასავლეთ საქართველოში დაჰყვეს. აქ, შავი ზღვის სანაპიროზე, ახლა შესანიშნავი შემოდგომაა. მეჩაიეობის მეურნეობათა მუშაკებმა ამას წინათ დაამთავრეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, მეციტრუსეებმა დაიწყეს ახალი მოსავლის მოწევა.

კუბელი ჟურნალისტები იყვნენ მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურში. აქ ისინი ინტერესით გაეცნენ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეურნეობას, არტელის სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებებს, ესაუბრნენ კოლმეურნეებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეკითხებოდნენ სტუმრებს კუბელ მშრომელთა ცხოვრების შესახებ.

უპასუხა რა ქართველ კოლმეურნეთა გულთბილ მისალმებებზე, ხოსე პარდო ლიადამ თქვა: „ჩვენ მეტისმეტად მოგვეწონა თქვენი შესანიშნავი სოფელი. ვნახეთ, თუ რა შეძლებულად, ბედნიერად და კულტურულად ცხოვრობენ საბჭოთა გლეხები. თქვენს დიად ქვეყანაში ყოფნის დროს ჩვენ გულწრფელად შევიყვარეთ საბჭოთა მშრომელები — მშვიდობიანი შრომის ადამიანები, დიდი სულისა და გულღია ადამიანები, პატიოსანი, პირდაპირი, მეგობრობისა და მეგობართა დამფასებელი ადამიანები".

ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ კუბელ სტუმართა პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელზეც მეგობარი ქვეყნის რევოლუციური პრესის მუშაკებს გულწრფელად მიესალმნენ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

18 ნოემბერს კუბელ ჟურნალისტთა დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. (საქდესი).

## ტოლსტოის საღამო

დღეს, 19 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების სახლში (მაჩაბლის ქ. № 13) გაიმართება გენიალური რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

შესავალი სიტყვით გამოვა მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ი. აბაშიძე.

მოხსენებას თემაზე — ლევ ტოლსტოის ცხოვრება და შემოქმედება — გააკეთებს დ. შენგელაია.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვლენ: ა. ბელიაშვილი, ქ. გამსახურდია, ს. კლდიაშვილი, ა. გაწერელია, ვ. ზამბახიძე, დ. მგელაძე, ვ. შადური, ლ. ჯაფარიძე.




ბუნდესვერის ერთმა ოფიცერმა განაცხადა, ჩვენ ჩვენი „კლასიკური" ლაშქრული სიმღერები შევინარჩუნეთო. ამ სურათზე მხატვარ კამბს გამოუსახავს ბონელი ოფიცერი საფრანგეთის ქალაქ მურმელონში, რომელშიც ამჟამად განლაგებული არიან დასავლეთ გერმანიის არმიის ნაწილები. ოფიცერი ამბობს: „თუმცა, ჩვენ ყოველთვის ზარბაზნების ქუხილით ვმღეროდით!.."

ნახატი ამოღებულია გაზეთ „ლუმანიტედან".

## ტანსაცმლის საზამთრო ფორმაზე გადასვლის შესახებ

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1960 წლის 19 ნოემბრიდან ტანსაცმლის საზამთრო ფორმაზე გადადიან.

## ამინდი

20 და 21 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის ზომიერი, რიონის ხეობაში ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 8-13, დღისით 18-23 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 10-15 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.




„ბურევესტნიკის" სტადიონი
ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74
(ტელ. № 2-39-80)
19 ნოემბერს
ფეხბურთი
ამხანაგური შეხვედრა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ერევანი)
დასაწყისი 15 ს. 30 წ.
საქართველოს სსრ 1960 წლის 2 ჯგუფის პირველობის გათამაშების ფინალი.
„რიონი" (ქუთაისი) — „მექანიზატორი" (ადიგენი)
დასაწყისი 13 ს.

19 ნოემბერი

თეატრები — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 1. ლეგენდა თბილისზე, 2. სოფლის პატიოსნება (1-ლი აბონ. მე-3 წარმ., დასაწყ. საღ. 7 ს. 30 წ.), რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი (დასაწყ. საღ. 7 ს. 30 წ.), მარჯანიშვილის სახელობის — კოლხეთის ცისკარი (დასაწყ. საღ. 7 ს. 30 წ.), გრიბოედოვის სახელობის — დამოკლეს მახვილი (მე-10 აბონ. 1-ლი წარმ. დასაწყ. საღ. 7 ს. 30 წ.), ხანკულტურის — სახელგატეხილნი (აბონ. № 11, დასაწყ. საღ. 7 ს. 30 წ.), მუსიკალური კომედიის — უცნაური სტუმრები (პრემიერა, რკინიგზელთა სახლში), რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი — როზა ფაინის (ვიოლინო) კონცერტი, ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა. ატრაქციონი „გოლიათი სპილოები" (დასაწყ. საღ. 8 ს.).

ტელევიზია: 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი", 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა — „შვიდწლედის მოწინავე ადამიანები", 19.45 — კინონარკვევი, 20.10 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი ნაცნობი კინომსახიობები" — ნიკოლოზ კრიუჩკოვი, 20.50 — ახალი ამბები, 21.00 — ახალი მხატვრული ფილმი — სახიფათო ზონა.



ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. ხამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშ ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.